სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
LEPL - EDUCATION MANAGEMENT INFORMATION SYSTEM

თბილისი, 0160, ფანჯიკიძის ქ. №1ა www.emis.ge ელ.ფოსტა: info@emis.ge ტელ.: +995 322 200220
№1a Panjikidze st, 0160, Tbilisi, Georgia www.emis.ge E-mail: info@emis.ge Phone: +995 322 200220

MES 4 22 0001544506

ელექტრონულად ხელმოწერილია
ზურაბ ჯანელიძე
05/12/2022

მოქალაქე მარიამ შონიას
მისამართი: ვარკეთილი3; I მკ/რ; მე-2 კორპუსი; ბინა 3
ტელეფონის ნომერი: 595333010
ელ ფოსტა: foi+request-1271-d2395feb@askgov.ge

ქალბატონო მარიამ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) 2022 წლის 24 ნოემბრის №1497712 კორესპონდენციის პასუხად, რომლითაც წარმოდგენილია თქვენი განცხადება, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით, დანართის სახით, გიგზავნით სტატუსშეჩერებული სტუდენტების სტატისტიკას 2013-2022 წლების პირველი ნოემბრის მდგომარეობით.

სხვა და სხვა საანგარიშო თარიღებში მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 15 სექტემბრის №154/ნ ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს პირველი ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და პირველი აპრილისთვის. სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2013 წლიდან მოყოლებული, ინახავს ბაზის ასლებს და ინფორმაციას სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ გასცემს მხოლოდ ამ თარიღების შესაბამისად.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ მოქმედი კანონმდებლობით სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი შესაძლოა იყოს სტუდენტის პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. შესაბამისად, ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირება განხორციელდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში არსებულ მონაცემების

საფუძველზე ყველა მითითებული მიზეზის გათვალისწინებით, როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ა) სტატუსშეჩერებულ სტუდენტს აქვს უფლება გაიაქტიუროს სტატუსი და ბ) სტუდენტმა სტატუსი შეიძლება შეიჩეროს რამდენჯერმე. გ) ერთ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში სტატუსშეჩერებული სტუდენტი შეიძლება აქტიური იყოს სხვა უმაღლეს სასწავლებელში.

დანართი 1 (Excel) ფაილი.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
სისტემის უფროსი
ბერიძე დიმიტრი